

## პროექტი №39

### ყაზბეგ-ლაგოდეხის ტექტონიკური ზონის თიხაფიქლების ბუნებრივი გამოსავლების გეოლოგიური დახასიათება და კალორიული თვისებების შესწავლა

პროექტის ხელმძღვანელი – ი. შეყრილაძე  
დაფინანსება – 15000 ლარი

პროექტის ფარგლებში ჩატარებულია დიდი კავკასიონის სამხრეთი ფერდობის თიხაფიქლებით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ყაზბეგ-ლაგოდეხის ტექტონიკური ზონის რამდენიმე ბუნებრივი გამოსავლის გეოლოგიური აღწერა და ამ გამოსავლებზე მოპოვებული თიხაფიქლების ნიმუშების კალორიული თვისებების, კერძოდ, თბოუნარიანობისა და აირშემცველობის ექსპერიმენტული გამოკვლევა.

შესრულდა მარშრუტები ინწობას, ღურუჯის, ფშავისა და ხევსურეთის არაგვის ხეობებში, შესწავლილ იქნა ამ ხეობათა თიხაფიქლების ბუნებრივი გამოსავლები და მოპოვებულ იქნა შესაბამისი ნიმუშები. ჩატარდა ყაზბეგ-ლაგოდეხის ტექტონიკური ზონისა და აპალაჩების (შეერთებულ შტატებში თიხაფიქლების ბუნებრივი აირის მოპოვების მთავარი რეგიონის) გეოლოგიური შედარება. განხილულ იქნა თიხაფიქლების აღწერილი ბუნებრივი გაშიშვლებების ნაპრალიანობა და გამოფიტვის ხარისხი, რეგიონის მიწისქვეშა წყლებში მეთანისა და სხვა გაზების შემცველობის დონეები.

განახლდა და გაიმართა თბოუნარიანობისა და აირშემცველობის არსებული გამზომი აპარატურა და შეიქმნა ახალი ექსპერიმენტული სტენდი, დამუშავდა გაზომვათა მეთოდოლოგიები. ჩატარდა გამოსავლებზე მოპოვებული ნიმუშების გამოკვლევა, რომლის თანხმადაც მათი თბოუნარიანობისა და გაზშემცველობის დონე გაზომვის ქვედა ზღვარზე (მგრძნობადობაზე) დაბალია. ეს შედეგი კარგად ეთანადება გამოსავლების გამოფიტვის მეტად მაღალ ხარისხს, რაც გეოლოგიურმა შესწავლამ გამოამჟღავნა. მსგავსი შედეგებია მიღებული აგრეთვე აპალაჩის რეგიონის გამოსავლების შესწავლისას. მეორეს მხრივ, გაზომვათა შექმნილი საშუალებები გამოსადევია შემდგომ ეტაპებზე, მათ შორის, საძიებო ბურღვის ეტაპზე მოპოვებული ნიმუშების ანალიზისათვის.

პროექტის ძირითადი დასკვნა ხაზს უსვამს ყაზბეგ-ლაგოდეხისა და აპალაჩების ტექტონიკური რეგიონების გეოლოგიურ მსგავსებას და ყაზბეგ-ლაგოდეხის თიხაფიქლების საბადოთა ბაზაზე ბუნებრივი აირის მოპოვების პერსპექტიულობას.

პროექტის შედეგები გამოყენებულია მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ საქართველოს მთავრობისათვის წარდგენილი კონცეფციის "საქართველოს თიხაფიქლების ბუნებრივი აირის ენერგეტიკული პოტენციალი და განვითარების გზები" და შეილგაზის პრობლემის თაობაზე ენერგეტიკის სამინისტროსა და USAID-ისათვის წარსადგენი წინადადების დამუშავების პროცესში.